საქართველოს პარლამენტის დადგენილება

პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 1 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №3) შექმნილი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე წარმოდგენილი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სიების საფუძველზე, იხელმძღვანელა რა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №1900 რეზოლუციის მე-3 პუნქტის a, c, d და e ქვეპუნქტებით,

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მიჩნეულ იქნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირებად საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №8)

დამტკიცებულ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირთა სიაში დასახელებული მსჯავრდებულები (დანართი №1).

2. მიჩნეულ იქნენ პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირებად საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2012 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი №8) დამტკიცებულ პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა სიაში დასახელებული პირები (დანართი №2).

3. საქართველოს პარლამენტმა უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ამ დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ პირთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

4. დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აღნიშნული ინფორმაციის საერთაშორისო თანამეგობრობისათვის მიწოდება.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი

ქუთაისი,

2012 წლის 5 დეკემბერი.

№76-Iს